



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 21 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №94/20  
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 01 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 09 სექტემბრის №574/94-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. იმავე წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები:**

**1.1.** საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ ყველანაირი მტკიცებულების გარეშე მიიღო მოპასუხის არგუმენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ და სრულიად უკანონოდ დაუკმაყოფილა მას შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

**1.2.** ასევე, ზემოთხსენებული განჩინების გამოცხადების შემდეგ მოსამართლემ სარკასტულად და ნიშნის მოგებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელს, „ეს განჩინება, რა თქმა უნდა, არ საჩივრდება ხო? რაც არ უნდა სასწაულებრივად მოგეჩვენოთ ქალბატონო --.“ საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლემ თავისი ქმედებით, აშკარად შეურაცხყოფა მიაყენა მხარეს.

**1.3.** -- -- მტკიცებით, მოსამართლის მიერ უკანონო განჩინების მიღება და მხარისათვის შეურაცხყოფის მიყენება განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საქმის განხილვის შედეგით. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოპასუხის ნათესავი არის იუსტიციის მინისტრის პირადი დაცვის წევრი და შესაძლებელია, ის უხეშად ერეოდეს მოსამართლის საქმიანობაში.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2020 წლის 08 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა. 2020 წლის 04 თებერვლის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 27 თებერვალს -- საათზე. აღნიშნული სხდომის დანიშვნის შესახებ 2020 წლის 13 თებერვალს მხარეებს ეცნობათ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. 2020 წლის 27 თებერვალს -- საათზე მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ვირუსი, მაღალი სიცხე) საქმის განხილვის გადადება მოითხოვა.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 27 თებერვალს გაიმართა. სარჩელის ავტორმა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოპასუხის შუამდგომლობას (სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე) არ ერთვოდა მისი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო ცნობა და ის ხელმოწერილი იყო არა მოპასუხის წარმომადგენლის, არამედ - ისეთი პირის მიერ, რომლის სახელზე გაცემული მონდობილობაც საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

2020 წლის 16 მარტს მოსარჩელემ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არსებული უსწორობის გასწორების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს და სადავო უძრავი ნივთის საერთო ფართის ჩასწორება მოითხოვა.

2020 წლის 26 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და 2020 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე დაბრუნება მოითხოვა. განცხადების ავტორი აღნიშნავდა, რომ 2020 წლის 27 თებერვლის განცხადებაზე ხელს აწერდა არა მარტო მისი მეუღლე, არამედ თვითონაც და ამდენად, არ შეიძლება ჩათვალილიყო, რომ დოკუმენტი არ იყო ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. მას მართლაც აღნიშნებოდა მაღალი სიცხე და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ის იმყოფებოდა თვითიზოლაციაში.

2020 წლის 31 მარტის განჩინებით 2020 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2020 წლის 17 ივლისს მოსამართლე -- -- მიიღო განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა, „... რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომამდე მეუღლის დახმარებით წარმოადგინა სხდომის გადადების თაობაზე განცხადება, ისევე როგორც ქვეყანაში ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარება და მხარის გამოუცხადებლობა საპატიოდ მიიჩნია.“ ამასთან, სხდომის აუდიო ოქმის გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ 2020 წლის 17 ივლისის სასამართლოს სხდომაზე, 15:21 საათზე, მოსამართლემ მიმართა სარჩელის ავტორის წარმომადგენელს (-- --) შემდეგი სიტყვებით, „ეს განჩინება რა თქმა უნდა არ საჩივრდება, რაც არ უნდა სასწაულებრივად მოგეჩვენოთ ქალბატონო -- ...“.

წინამდებარე გადაწყვეტილების მომზადების დროისათვის საქმის განხილვა -- საქალაქო სასამართლოში არ დასრულებულა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე -- -- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.“

სსსკ-ს 236-ე მუხლის შესაბამისად, „მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ... შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.“

სსსკ-ს 223-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეემლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.“

სსსკ-ს 240-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „...თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც იწყება სარჩელის განხილვა.“

სსსკ-ს 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.“

სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში/განჩინებაში.

შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო 2020 წლის 17 ივლისის განჩინებით დაეკმაყოფილებინა მოპასუხის შუამდგომლობა საქმეზე 2020 წლის 27 თებერვალს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და ის მოქმედებდა კანონის მოთხოვნების სრული დაცვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გადაწყვიტა:**

1. -- -- 2020 წლის 01 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №94/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**